PDF Eraser Free

დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „აღმზრდელის “
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
ქეთევან ღვანიძე

(ქ.თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2021 წლის 12 აპრილს MES 2 21 0000345246 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში - „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ბრძანების საფუძველი გახდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 5 აპრილს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი ქ.თბილისში (წერონისის ქ. №208) "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურ ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 12 აპრილს, 13.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. ექსპერტები გაესაუბრნენ აკადემიის რექტორს, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება და ონლაინ დათვალიერდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურადაა ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც <u>სრულად შეასაბამისი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა: არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ გაცემულა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსიორებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

განმავითარებელი რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის ბრძანება N2/109 31.09.2019წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	80 პროფესიული სტუდენტი, ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146 კრედიტი

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემდგომი განვითარების პროცედურა განსაზღვრულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგურილებელი დოკუმენტით (დამტკიცებული კოლეჯის რექტორის 28.07.2020 წლის N2/60 ბრძანებით. ცვლილებები: 28.10.2020 – 18.01.2020). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებასაც გეგმავს დაწესებულება უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას, მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს, როგორიცაა უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შეხვედრები დამსაქმებლებთან, ასევე მეორად წყაროებს, როგორიცაა მაგალითად სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. დაწესებულების მიერ განახორციელებელი პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმლებლებთან შეხვედრებსა და კონსულტაციებს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ დაწესებულებამ კონსულტაციები გაიარა ქ. თბილისის ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოსთან, რომელთა ოფიციალური მონაცემებით ქ. თბილისში მოქმედი 185 სახელმწიფო და 150 სახელმწიფო ბაგა–ბაღია, რომელთა რიცხვიც მუდვივად იზრდება, შესაბამისად იზრდება მოთხოვნა პროფესიონალ, კვალიფიციურ კადრებზეც. მიზანშეწონილობის დოკუმენტში ნახსენებია ასევე ISET -ის მიერ ჩატარებული კვლევა და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 იანვრის N16 დადგენილებით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანიც იყო შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, აღნიშნული დადგენილების დანართში მოცემულ მოთხოვნად პროფესიების ჩამონათვალში შევიდა და პრიორიტეტულად განისაზღვრა პროგრამა „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიზანშეწონილობის დოკუმენტიდან ასევე ვგებულობთ , რომ კოლეჯი 2018 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ ბაგა–ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ და აქტიურად თანამშრომლობს ქ. თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღებთან. კოლეჯის თქმით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 2019 წელს 2018 წელთან შედარებით საგრძნობლად, 50 % –ით გაიზარდა, რამაც განაპირობა პროგრამის კვლავ განხორციელების მიზანშეწონილად მიჩნევა.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს აკადემიის სტრატეგიული გეგმიდან და შეესაბამება დაწესებულების მისიას. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

“განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა, ამ მიზნით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მომზადება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ, კონკურენტულ სასწავლო გარემოში; ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი პროგრამების დაგეგმვას და განვითარებას; პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა; სტუდენტთა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც გაზრდის მათ მოტივაციას“.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგურილებელ დოკუმენტში (დამტკიცებული კოლეჯის რექტორის 28.07.2020 წლის #2/60 ბრძანებით. ცვლილებები: 28.10.2020 – 18.01.2020) თავი 2, სადაც განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები. ამავე წესითაა განსაზღვრული ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობის, სწავლის შედეგების აღიარებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამისთვის „აღმზრდელი“, სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა განსაზღვრა შესაბამისი მეთოთოლოგიის მიხედვით, რომელიც დადგენილია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგურილებელი დოკუმენტით (დამტკიცებული კოლეჯის რექტორის 28.07.2020 წლის N2/60 ბრძანებით. ცვლილებები: 28.10.2020 – 18.01.2020), მუხლი 5; აღნიშნული წესის თანახმად კოლეჯი, პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისას მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა და დატვირთვა, შესაბამისი სასწავლო სივრცის A,B და C გარემოების არსებობა და მასში სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საჭირო რაოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ კოლეჯი ითხოვს 80 სტუდენტის მიღებას, ორი წლის განმავლობაში, ორ ცვლაში. დაწესებულების მიერ სწავლებისათვის გამოყოფილი გარემო საშუალებას იძლევა ცვლებში მიიღოს 80 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

წარმოდგენილი პროგრამისთვის არჩევითი მოდული არ არის განსაზღვრული.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ აღმზრდელი“ დამტკიცებულია შპს – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2019 წლის 31 ივლისის # 2/109 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია შპს – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდებით (დამტკიცებული აკადემიის პარტნიორთა კრების მიერ – 20.06.2019წ.) და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესით, მუხლი – 3, პუნქტი – 3.28

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - აღმზრდელი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education და აკადემიის მიერ შემუშავებული პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია არეგულირებს აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობლობები, სტრუქტურა და მოდულები,სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტებისთვის,რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესი;
- აკადეიმიის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- შპს – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდება.
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი/ცვლილების აქტი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამისათვის „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ვგებულობთ, რომ წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ორი A გარემო და თითოეულში შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. აღნიშნული აუდიტორიები ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 50%–ით, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას, თითოეულ სასწავლო გარემოში ორ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა ორმაგი რაოდენობა.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ დისტანციურად მოხდა აღნიშნული აუდიტორიის გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ორი A (N22 და N25 აუდიტორიები) და ერთი B გარემო, თითოეული აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 40 პროფესიულ სტუდენტზე, 2 კომპიუტერი, 2 დაფა, 2 დემონსტრირების საშუალება და 2 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის და პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით აკადემიას ერთ მიღებაზე სურს ორი ჯგუფის (20+20) ანუ 40 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ორი წლის განმავლობაში სულ 80 პროფესიული სტუდენტის მიღება.

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქ. თბილისის ააიპ N43 (15.04.2021 წ. N7/244), ააიპ N49 (11.03.2021წ. N7/13) და ა(ა)იპ ქალაქ თბილისის N46 საბავშვო ბაგა–ბაღებთან. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს, გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულების შინაგანაწესი, უსაფრთხოების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ტერიტორიაზე მოქმედი ქცევის/ეთიკის წესები, პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები და მომსახურეობა გაუწიოს მათ სასწავლო გეგმით და მოდულის შინაარსის შესაბამისად.
თითოეული საბავშვო ბაგა–ბაღი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი. ჯამში პარტნიორ ორგანიზაციებს, პრაქტიკის ობიექტით შეუძლიათ 40 პროფესიული სტუდენტის მომსახურეობა.
ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის ერთ–ერთ ხელმძღვანელს, გასაუბრებიდან დადგინდა, რომ დაწესებულებას მანამდეც ჰქონდა თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროფესიულ დაწესებულებასთან, ობიექტი მზადაა მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც მონაცვლეობით გადანაწილდებიან ბაგა–ბაღის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ბაგა-ბაღში პროფესიულ სტუდენტებს უხელმძღვანელებს გამოცდილი პრაქტიკის ხელმძღვანელი, მათ საშუალება ექნებათ პრაქტიკის მიმდინარეობისას გადანაწილდნენ საბავშვო ბაგა-ბაღის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში და უშუალოდ დააკვირდნენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, აკადემიას განსაზღვრული ჰყავს 18 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 4 ზოგადი და 14 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ პროფესიული მასწავლებლები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
აღსანიშნავია რომ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებაში ჩართულია პერსონალი, რომელთა უმრავლესობაც მანამდეც ახორციელებდნენ აკადემიაში აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას და გააჩნიათ მოდულური სწავლების და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელების გამოცდილება, ხოლო რაც შეეხება ახალ შერჩეულ კადრს, კოლეჯის დირექტორის თქმით უკვე მიმდინარეობს მათი დატრენინგება. პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეებით, მათი გამოცდილებით და გასაუბრების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებლებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლით დასტურდება მისი დარგობრივი კომპეტენცია, „აღმზრდელის“ პროგრამასთან მიმართებაში

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას შესაბამის დარგობრივ კომპეტენციასთან ერთად აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილებაც ძველი პროგრამის ფარგლებში და ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული პროგრამის, სასწავლო გეგმისა და მოდულების შემუშავებაში, კალენდარული გეგმების შედგენაში, პრაქტიკის ობიექტების შეჩევა და ხელშკრულების მომზადება, პრაქტიკაზე სტუდენთა დასწრების კოორდინირება/მონიტორინგი; პროგრამისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევა; პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სხვადასხვა ტრენინგების, შეხვედრების და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია აკადემიის ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ხოლო ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

„შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში - მუხლი–14, გაწერილია მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას; სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები. მაგ: მოდულებში მითითებულია, რომ სსსმ პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების მოდიფიკაცია, რაც ნიშნავს სწავლის შედეგების ცვლილებას. თუ სწავლის შედეგები შეიცვალა, მაშინ ამან შესაძლოა გამოიწვიოს სასწავლო რესურსების ცვლილებაც, მაგ: მათი გამარტივება.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 15 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემოსავლების ნაწილი შედგება პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურისაგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს ძირითად და პროგრამულ ხარჯს რომლებშიც შედის: ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზრაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, კომუნალური გადასახადების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების, დიპლომებისა და დანართების დამზადების და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ვიდუალური დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პერსონალის მართვის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ გაცნობის (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2018 წლის 08 იანვრის ბრძანება N 2/02) და აკადემიის რექტორთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან გასაუბრების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ISO9001:2015 9001:2015-ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად და მისი შენარჩუნება ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბამისი პროცესების შეფასების შედეგებით. აკადემიის პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, მონაცემების დამუშვება და მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ვგებულობთ, სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები, კოლეჯის საზოგადოების სრული ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით აკადემიაში ხორციელდება გამოკითხვები, რომლებიც ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა; სანდოობა ; მოქნილობა; შინაარსობრივი სიმარტივე; მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. გამოკითხვები ხორციელდება პირისპირ ინტერვიუს, კითხვარების ფორმებით ან პროცესზე დაკვირვების მეთოდით;

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

ზემოხსენებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზის შედეგად, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურს/ სტრუქტურულ ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

როგორც ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიუირების დროს აღნიშნა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება, ხოლო განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აკადემიის შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, კითხვარების ფორმებით;
- ჩატარებული ტრენინგების ანგარიშებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

აკადემიამ წარმოადგინა აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

როგორც ხარისხის მართვის მენეჯერმა აგვიხსნა, ისინი მოქნილად რეაგირებენ პროფესიულ სტუდენტთა შემხვედრ საჭიროებებზე და უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. აკადემიის სტუდენტებს ეძლევათ საშუალება თვითონ აირჩიონ სწავლების გრაფიკი (უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით), სასწავლო ცხრილი იგეგმება პროფესიულ სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლები შესამამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ ნ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - (მუხლი 14. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუსაღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აკადემიის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, პრაქტიკის ხელშეკრულებაში დეტალურადაა აღწერილი ხელშეკრულების პირობები, პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, რომელსაც არ სჭირდება განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს აღმზრდელის პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს პერიოდულად, ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟების უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აღმზრდელის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში“ - შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნები, ინსტრუმენტების ვალიდაცია. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, შეფასების პროცესის ადმინისტრირება/მართვა, შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების წესი, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიმდინარეობის აღრიცხვასა და შენახვის წესი, ასევე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აკადემიაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ზემოხსენებული დოკუმენტის (მუხლი 13. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია) თანახმად შემუშავებულია ასევე გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცესზე აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირებიც იყვნენ ჩართულნი. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე, რომ პროცესი უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში.
აკადემიაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აკადემიის ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ, ამ საკითხთან დაკავშირებით, აქვთ გარკვეული გამოცდილება, რამდენადაც მათივე ფილიალში - საჩხერის განყოფილებაში 2020 წელს განხორციელდა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია და მიღებული შედეგების გათვალისწინებით დაკორექტირდა შეფასების ინსტრუმენტის ფორმა და ასევე განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

აკადემიის დირექტორთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, შეფასების უწყისები უვადოდ ინახება. თუმცა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში ელექტრონულად და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მტკიცებულებების აღრიცხვის მიზანია მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

როგორც შესაბამის პირებთან გასაუბრებით დგინდება, **პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის,** აკადემია ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია უნდა იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ჩატარებული ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

17.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: